IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა

ავტორები:

რატი ფორჩხიძე

გივი ადეიშვილი, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მასალა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 5

ანტიკრიზისული ბიუჯეტი: 3.5 მლრდ. ლარის დახმარებები 6

უმუშევრობის დახმარების პროგრამები 9

სხვა სოციალური პროგრამები 11

სამშენებლო სექტორი 12

სოფლის მეურნეობა: „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ 13

ტურისტული სექტორის დახმარება 15

ანტიკრიზისული ბიუჯეტი 2021 17

ანტიკრიზისული გეგმის გამოწვევები 18

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით ახორციელებს, პროექტს „საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი“. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების და მის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი. წინამდებარე ანგარიში, მიმოიხილავს პანდემიის პირობებში საქართველოს პირველად ანტიკრიზისულ გეგმას და მის შესრულებას 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

პანდემიის შედეგად, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა მიმდინარე წელს 6%-ით შემცირდება, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ისტორიული მინიმუმი იქნება.

COVID-19-ის პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დროული ჩართულობა და კარგად გათვლილი მოქნილი ანტიკრიზისული გეგმა. ანტიკრიზისული პაკეტი მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებისა და კრიზისის მდგომარეობაში ყველაზე მოწყვლადი ხალხის დახმარებას.

ამ გლობალურ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვაგვარად უპასუხა, საქართველომ 2020 წლის 24 აპრილს წარდგენილ პირველადი ანტიკრიზისული გეგმისთვის, რომელიც მიმდინარე წლისთვის განისაზღვრა, 3.5 მლრდ. ლარი გამოყო. აღნიშნული 2020 წლის მოსალოდნელი მთლიანი შიდა პროდუქტის 7.2%-ს შეადგენს. გეგმა ორ ძირითად ნაწილად არის დაყოფილი: ზრუნვა მოქალაქეებზე და ზრუნვა ბიზნესზე. ყველაზე დიდი ყურადღება გამახვილდა შემდეგ სექტორებზე: **ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და დეველოპერული სექტორი.** მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში ყურადღება გამახვილდა არამხოლოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებულებზე, არამედ თვითდასაქმებულებზეც, ასევე სხვადასხვა დახმარების პროგრამები იყო გამოყოფილი სოციალურად დაუცველთათვის. გთავაზობთ ამ გეგმის მოკლე მიმოხილვას და შესაბამის რეკომენდაციებს.

ძირითადი მიგნებები

- **2020 წელს საქართველოს ეკონომიკა მოსალოდნელია -6%-მდე შემცირდეს.** აღნიშნული ჩამორჩება განვითარებადი ქვეყნებისა და მსოფლიოს მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებლებს.
- **ანტიკრიზისული გეგმის მოცულობამ მოსალოდნელი მშპ-ს 7.2% შეადგინა.** 3.5 მილიარდიანი ანტიკრიზისული გეგმის უდიდესი ნაწილი (30%) მოქალაქეთა პირდაპირი დახმარებების სახით იყო დაგეგმილი.
- **თვითდასაქმებულების მესამედმა მიიღო 300 ლარიანი დახმარება.** საერთო ჯამში, 2020 წლის ნოემბრისთვის 249 ათას ადამიანს ჯამში 74.6 მლნ. ლარი ჩაერიცხა.
- **პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილთა 200-ლარიანი დახმარებისთვის გამოყოფილი 450 მლნ. ლარიდან მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა.** დახმარება 162,220-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა მიიღო, რაზეც ჯამში 129 მლნ. ლარი დაიხარჯა. პროგრამის 6 თვით აღდგენა პირველი იანვრიდან იგეგმება.
- **კომუნალური დახმარებების პროგრამის დანახარჯებმა პროგრამის ბიუჯეტს მცირედით გადააჭარბა.** კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მლნ. ლარი დაიხარჯა, რაც 3 მლნ. ლარით აჭარბებს გამოყოფილ თანხას. აღნიშნული პროგრამა დამატებით ოთხი თვით გაგრძელდება.
- **18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 925,000 ბავშვზე გაიცა.** პროგრამაზე 185 მლნ. ლარი დაიხარჯა რაც გამოყოფილ ბიუჯეტს, 160 მლნ. ლარს, +16%-ით აჭარბებს. დახმარება იყო ერთნაირი მოცულობის (200 ლარი) ბავშვის სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.
- **სამშენებლო სექტორი და ტურიზმის სექტორი ყველაზე მსხვილი მოცულობის დახმარების პაკეტს მიიღებენ ბიზნესსექტორებიდან.** აღნიშნული სექტორებისათვის მთავრობის მიერ განსაზღვრული დახმარებების მოცულობამ 434 მლნ. ლარი და 200 მლნ. ლარი შეადგინა, შესაბამისად.
- **2021 წლისათვის მთავრობა აპირებს გააგრძელოს ეკონომიკის სუბსიდირება განახლებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში.** 27 ნოემბერს, მთავრობამ გამოაცხადა 2021 წლის განახლებული ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მოიცავს 1.1 მლრდ. ლარის დახმარებას მოსახლეობაზე და ბიზნესზე, თითქმის თანაბარი მოცულობით, 545 მლნ. ლარი და 515 მლნ. ლარი, შესაბამისად.

ანტიკრიზისული ბიუჯეტი: 3.5 მლრდ. ლარის დახმარებები

მიმდინარე წელს საქართველოს მშპ-ს მოსალოდნელი ზრდა -6%[1]-ის ფარგლებშია. ის ჩამოუვარდება მსოფლიოსა და სხვა განვითარებადი ქვეყნების საშუალო ზრდის მაჩვენებელს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF-ის) პროგნოზით მსოფლიოს ეკონომიკისთვის მოსალოდენელია -4.4%-იანი კლება, ხოლო განვითარებადი ეკონომიკებისთვის -3.3%.

არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეზღუდვების გამკაცრება წლის ბოლოსათვის მშპ-ს კიდევ უფრო მეტად შეამცირებს. საქართველოში დაწესებული შეზღუდვების შედეგად მშპ მე-2 კვარტალში რეკორდულად შემცირდა ბოლო 10 წლის განმავლობაში (-13.2%). მე-3 კვარტალში კლებამ -5.6% შეადგინა, ხოლო მეოთხე კვარტალში მოსალოდნელია, რომ მშპ -7%-მდე შემცირდეს.

ოქსფორდის უნივერსიტეტმა შეიმუშავა COVID-19-ზე რეაგირების აღრიცხვის მექანიზმი, რომელიც ქვეყნების მიერ მიღებული ზომების სიმკაცრეს ინდექსით აფასებს 0-დან 100-მდე. აღნიშნული ინდექსის მიხედვით საქართველოში სიმკაცრის ინდექსი მაქსიმუმზე (100-იან ნიშნულზე) 21 მარტიდან 21 აპრილამდე იყო და აპრილის თვეში რეალური მშპ-ს ყველაზე დიდი შემცირება -16.6% დაფიქსირდა.

გრაფიკი 1: საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდა (%)



გრაფიკი 2: მშპ-ს რეალური ზრდა და სიმკაცრის ინდექსი



წყარო: საქსტატი, Oxford's CORONAVIRUS GOVERNMENT RESPONSE TRACKER, IDFI

საინტერესოა, რომ საქართველოში საშუალო წლიური სიმკაცრის ინდექსი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, თუმცა, აღნიშნულმა ხელი ვერ შეუშალა ინფექციის გავრცელებას [2].

1 IDFI

[2] 20 დეკემბრის მდგომარეობით

გრაფიკი 3: საშუალო სიმკაცრის ინდექსი და ინფიცირებულთა %-ული რაოდენობა მოსახლეობასთან



წყარო: Worldodometer, WB, Oxford's CORONAVIRUS GOVERNMENT RESPONSE TRACKER, IDFI

დაწესებული შეზღუდვების და მშპ-ს შემცირების ფონზე ბიზნესის განწყობა გაუარესდა ყველა სექტორში, შედეგად ბიზნესის განწყობის ინდექსი ისტორიულ მინიმუმზეა. ყველაზე დიდი კლება კი ვაჭრობისა და სერვისის სექტორებში შეინიშნება. 2020 წლის მე-3 კვარტლის მდგომარეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წ.წ. -24%-ით შემცირდა და 719 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

გრაფიკი 4: ბიზნესის განწყობის ინდექსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: ISET PI, IDFI

საქართველოს 2020 წლის ანტიკრიზისული გეგმის მოცულობა 3.5 მლრდ. ლარს აღწევს, რომელიც 2020 წლის მოსალოდნელი მშპ-ს 7.2%[3]-ს შეადგენს. აღნიშნული ნაკლებია მაგალითად საქართველოს მეზობელი რუსეთისა და თურქეთის დანახარჯებზე, რომლებმაც მშპ-ს 10% და 15% გამოყვეს პანდემიის შედეგად გამოწვეული ზიანის შესამსუბუქებლად. მნიშვნელოვანია ასევე, რომ საქართველოს ანტიკრიზისული ფონდის, მობილიზება უმეტესწილად სახელმწიფო ვალის გაზრდის ხარჯზე გახდა შესაძლებელი.

სახელმწიფო ვალი 2020-2021 წლებში მშპ-ს 60%-ს გადააჭარბებს, რაც აღემატება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ 60%-იან ზღვარს.

გრაფიკი 5: სახელმწიფო ვალის მშპ-თან (%)



გრაფიკი 6: ანტიკრიზისული ფონდის მოცულობა და მშპ-ს რეალური ზრდა (%)



წყარო: IMF, ფინანსთა სამინისტრო, IDFI

24 აპრილს წარდგენილი პირველადი ანტიკრიზისული გეგმით, რომელიც 2020 წლისთვის განისაზღვრა, მოქალაქეებისთვის პირდაპირი დახმარებების სახით გათვალისწინებულია ერთ მლრდ. ლარზე მეტი, რაც მთლიანი ანტიკრიზისული ფონდის 29.5%-ს შეადგენს. აღნიშნული დახმარებები მოიცავს თვითდასაქმებულთა და პანდემიის შედეგად უმუშევართა დახმარებას, ასევე კომუნალურ დახმარებებს.

[3] IDFI

გრაფიკი 7: ანტიკრიზისული გეგმის პირველი ეტაპის დახმარებების სტრუქტურა (მლნ. ლარი)



წყარო:: IMF, IDFI

უმუშევრობის დახმარების პროგრამები

2020 წლის იან-სექტ. საქართველოში გაცემული ხელფასების მოცულობა 670 მლნ. ლარით შემცირდა, ხოლო დასაქმების დონე 2020 წლის მეორე კვარტალში წ.წ -2%-ით შემცირდა და ჯამურად 1.7 მლნ. ადამიანი შეადგინა (თვითდასაქმებულები-51%).

პანდემიის შედეგად განსაკუთრებულად დაზიანდა არაფორმალური სექტორი, აღნიშნულ სექტორზე ჯამური დასაქმების 51% (0.87 მლნ.) მოდის. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2020 წელს სქართველოს 160 ათასამდე მოქალაქე, შესაძლოა, სიღარიბეში აღმოჩნდეს.

გრაფიკი 8: სამუშაო ძალის გადანაწილება 2კვ. 2020



წყარო:: საქსტატი, IDFI

2020 წლის 24 აპრილს გამოცხადდა 250 ათასი თვითდასაქმებულის 300 ლარიანი დახმარების პროგრამა, რომლისთვის გამოყოფილი იყო 75 მლნ. ლარი. პროგრამით დადგენილი პირობების გათვალისწინებით თვითდასაქმებულებს გაუჭირდათ შემოსავლის დადასტურება, შედეგად პირველ ეტაპზე 251,000 თვითდასაქმებულიდან დახმარება 171,000-მა მიიღო (68%) და ჯამში 51 მლნ. ლარი გაიცა დახმარების სახით.

მეორე ეტაპზე თანხა დამატებით 78,000 თვითდასაქმებულს გადაეცა, რომლებსაც პირველ ეტაპზე უარი უთხრეს და ამ გზით მოხერხდა ბიუჯეტის თითქმის სრულად ათვისება (74.6 მლნ. ლარი). დახმარების ამ პროგრამამ ჯამურად თვითდასაქმებულების 29% მოიცვა. მიუხედავად ამ პროგრამის მნიშვნელობისა, მთავრობამ არასაკმარისი სტიმულებით კრიზისულ მდგომარეობაში ვერ შეძლო გათვლილ ვადაში გამოყოფილი თანხის გაცემა, რის შედეგადაც ჯერ გადავადება, შემდეგ კი თანხების იმ ხალხზე გაცემა მოუწია, ვინც ვერ დააკმაყოფილა მთავრობის მიერ წარდგენილი მოთხოვნები.

პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილთა 200-ლარიანი დახმარების პროგრამისთვის 2020 წლის ბიუჯეტიდან 450 მლნ. ლარი გამოიყო, პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე (მაისი-ნოემბერი) ვერ მოხდა გამოყოფილი თანხების მესამედის ათვისებაც. ეს გარკვეულწილად განაპირობა ბენეფიციარების ანგარიშზე სახელფასო შემოსავლის ჩარიცხვებმა (>10 ლარზე), რაც დახმარების შეწყვეტის წინაპირობა გახდა.

უმუშევრად დარჩენილთა პროგრამაზე ყველაზე მოცულობითი დახმარებები ივნისის თვეში გაიცა**,** საერთო ჯამში დახმარება 162,220[4]-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა მიიღო და ჯამურად 129 მლნ. ლარი დაიხარჯა. ივნისში დახმარებების სწრაფად ზრდის ფონზე დანარჩენ თვეებში დახმარების მოცულობა და მიმღებ პირთა რაოდენობა მცირდებოდა. პროგრამის 6 თვით აღდგენა პირველი იანვრიდან იგეგმება.

გრაფიკი 9: უმუშევრობის პროგრამაზე გაცემული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა



გრაფიკი 10: ბენეფიციართა გადანაწილება (%) დახმარებების მიღების სიხშირით



წყარო: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, IDFI

[4] საქართველოს მთავრობა

სხვა სოციალური პროგრამები

ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი პროგრამა კომუნალური დახმარების პროგრამაა. სექტემბრის მდგომარეობით კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მლნ. ლარი დაიხარჯა რაც 3 მლნ. ლარით მეტია პროგრამის ბიუჯეტზე. პროგრამა 4 თვით განახლდება ნოემბერი-თებერვლის პერიოდში.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველთა დახმარება. სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე დახმარებამ გამოყოფილ ბიუჯეტს გადააჭარბა, რაც ნიშნავს, რომ პროგრამებისთვის არასაკმარისი თანხები იყო გამოყოფილი. ნოემბრის მონაცემებით, ოჯახების სოციალური დახმარებისთვის ჯამში 64.75 მლნ. ლარი იქნა გადარიცხული, ამ პროგრამების ჯამური ბიუჯეტი კი 58 მლნ. ლარი იყო.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და შშმ ბავშვებისთვის ჯამში მიიმართა 26 მლნ. ლარი, მაშინ როდესაც პროგრამის ბიუჯეტი 25 მლნ. ლარით იყო განსაზღვრული. ასევე, მნიშვნელოვანია რომ პროგრამის მიღმა დარჩნენ სხვა ჯგუფის შშმ პირები.

24 აპრილის ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაციის ნაწილი იყო 70 წელს გადაცილებული და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთათვის პენსიების ზრდა. 2020 წლის 1 ივლისიდან პენსია 30 ლარით, 250 ლარამდე გაეზარდათ პენსიონერებს 70 წელს ზემოთ, ამ ცვლილებით დაახლოებით 410,000 პენსიონერი სარგებლობს (თვიური მოცულობა - 12.3 მლნ. ლარი). მაღალმთიან სოფლად მცხოვრები პენსიონერებისთვის კი პენსია 300 ლარი გახდა.

საშემოსავლო გადასახადი გაუუქმდათ ხელფასის პირველ 750 ლარზე მოქალაქეებს, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 1500 ლარს. პროგრამისთვის 250 მილიონი იქნა გამოყოფილი, ამ წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში შეღავათი ჯამურად 221 მლნ. ლარს შეადგენდა.

2020 წლის 6 აგვისტოს მოდიფიცირებული გეგმის პროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე 185 მილიონი დაიხარჯა და კომპენსაცია 925,000 ბავშვს დაერიცხა. პროგრამამ გადააჭარბა თავდაპირველად გამოყოფილ ბიუჯეტს, 160 მლნ ლარს, სადაც ბენეფიციართა რაოდენობა 800,000-ით იყო განსაზღვრული. თუმცა, გაურკვეველია თუ რატომ იქნა განსაზღვრული თავდაპირველად ბავშვების რაოდენობა 800,000-ით. პროგრამა 1 დეკემბერს დასრულდა და მასზე ჯამში 943,000 ბავშვი დარეგისტრირდა.

ამავე გეგმის ნაწილი იყო (150,000 ქულამდე) სტუდენტების სოციალური დახმარება, რომელიც ითვალისწინებს 1 სემესტრის სწავლის საფასურის (1,125 ლარის) დაფინანსებას. მთავრობის ანგარიშის მიხედვით, ამ პროგრამაზე 17 მლნ. ლარი

დაიხარჯა და დაფინანსებით (სრული ან ნაწილობრივი) 17,000-მა სტუდენტმა ისარგებლა.

სამშენებლო სექტორი

2019 წლის მონაცემებით, დეველოპერული სექტორის წილი მშპ-ში 9%-ია და მასში 120,000+ ადამიანი არის დასაქმებული. მთავრობამ დეველოპერების დასახმარებლად 434 მლნ. ლარი გამოყო, რომელიც მოიცავს მოქალაქეების პირდაპირ დახმარებებს და სექტორულ ანტიკრიზისულ პაკეტებს. დეველოპერული სექტორისთვის გამოყოფილი თანხების ყველაზე დიდი წილი - 200 მლნ. ლარი საგრანტო ფონდზე მოდის, რომელსაც მთავრობა პერიოდულად გამოიყენებს სამშენებლო სექტორის მიმდინარე მშენებლობების დაზღვევისთვის. აღნიშნულ პროექტის ფარგლებში შესყიდულ უძრავ ქონებას კი დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართების გადასაცემად გამოიყენებს.

1,800 დევნილი ოჯახისათვის (6,000 ადამიანი) ბინების შესაძენად 150 მლნ. ლარი არის გამოყოფილი. აღნიშნული ერთი ოჯახისათვის 83,000 ლარის დახმარებას ნიშნავს და ყველაზე მსხვილი დახმარებაა ერთი ბენეფიციარისთვის, ყველა სხვა პროგრამასთან შედარებით. პროგრამის მიხედვით, სახელმწიფომ მიმდინარე წელს უნდა შეიძინოს ბინები სამშენებლო სექტორისგან, რაც პირდაპირ გაზრდის მოთხოვნას უძრავი ქონების პირველად ბაზარზე და ფასის აღდგენის წინაპირობას ჰქმნის

იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამით სახელმწიფო სუბსიდიის სახით ხარჯავს იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთის 4 პ.პ-ს, რისთვისაც 70 მლნ. ლარი არის გამოყოფილი. აღნიშნულმა პროგრამამ მოსალოდნელია გაზარდოს მოთხოვნა შედარებით „დაბალფასიან“ ლარის საკრედიტო რესურსზე. თუმცა, არსებობს არგუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამენ რომ უძრავი ქონება წარმოადგენს „ფუფუნების საგანს“ და არსებული რესურსით სჯობდა დაგვეფინანსებინა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების საგნების შეძენა.

გრაფიკი 11: დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის გეგმა (მლნ. ლარი)



წყარო:: საქართველოს მთავრობის ანგარიში, IDFI

სოფლის მეურნეობა: „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“

2019 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი ჯამურ დასაქმებულებში 39%-ია (თვითდასაქმებულების 78%). ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სექტორის ხელშეწყობისთვის ჯამში 139 მილიონი ლარი გამოიყო.

სოფლის განვითარების სააგენტოს 30 სექტემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 162 ათას ფერმერს დაერიცხა 28.5 მლნ. ლარის სუბსიდიები. 30 სექტემბრისთვის 110,000-მა ფერმერმა სავაჭრო ობიექტებში 21.3 მლნ. ლარის აგროპროდუქტი დაიფინანსა.

დამატებით, სახელმწიფომ მცირე მოცულობის რესურსი გამოყო აგროწარმოების ხელშეწყობაზე, აგროდაზღვევაზე და სექტორი გაათავისუფლა სამელიორაციო გადასახადისგან. ოქტომბრის თვის მონაცემებით, 2020 წლის სამელიორაციო გადასახადისგან გათავისუფლებულ ბენეფიციართა დანაზოგმა 3.7 მლნ. ლარი შეადგინა, ამ პროგრამისთვის ჯამურად გამოყოფილი იყო 13 მლნ. ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში 20 მაისიდან ნოემბრის ჩათვლით ფერმერებმა შეღავათიანი პირობებით შეიძინეს 10,225,460 ლიტრი დიზელის საწვავი, რითაც მათ სახელმწიფო დაახლოებით 4,6 მლნ.

ლარით დაეხმარა. პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი დაახლოებით 9-ჯერ ჩამოუვარდებოდა მის საბოლოო მიზანს (40 000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს), რაც კითხვებს აჩენს პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

გრაფიკი 12: სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერის გეგმა (მლნ. ლარი)



წყარო:: საქართველოს მთავრობის ანგარიში, IDFI

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, რომლისთვისაც გამოყოფილი იქნა 9 მლნ. ლარი, 30 სექტემბრის მდგომარეობით 8,634 ბენეფიციარზე სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით გაიცა 8.3 მლნ. ლარი. მერძევეობის დარგის განვითარების პროგრამით, საწყისი ბიუჯეტი 42 მლნ. ლარიდან გაიცა 13.2 მლნ. ლარი, აღნიშნული პროგრამა 2026 წელს სრულდება თუმცა თანხების ამოწურვის შემთხვევაში შეიძლება უფრო ადრე დასრულდეს, თავდაპირველად 2020 წლის ბიუჯეტი 3 მლნ. ლარით განისაზღვრა.

სოფლის განვითარების სააგენტოს 30 სექტემბრის მონაცემებით, აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩართულ 386 ბენეფიციარზე, გაიცა 9.7 მლნ. ლარის თანადაფინანსება, ამ პროგრამის ბიუჯეტი 10 მლნ. ლარს შეადგენს.

სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი სუბსიდიები და დახმარებები ძირითადად ერთჯერად ტრანსფერებს წარმოადგენს სექტორისათვის და მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი. გარკვეულ შემთხვევებში პროექტები გრძელვადიანია. მაგალითისათვის მერძევეობის დარგის დახმარების პროგრამა 4+ წელზე არის გათვლილი და გამოყოფილი რესურსების ათვისება პანდემიის და პოსტპანდემიურ

პერიოდების შემდეგ გაგრძელდება. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე გამოყოფილი მცირე ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის დახმარებას.

ტურისტული სექტორის დახმარება

მთავრობის ანგარიშებით ტურიზმის წილი 2019 წლის მშპ-ში (პირდაპირ და ირიბად) 11.5%-ია. აღნიშნული სექტორი პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, ტურისტული ვიზიტების რაოდენობა წ.წ. 80%-ით შემცირდა, 2020 წლის 10 თვეში. რაც ამ სექტორში დასაქმებული 150,000+ ადამიანისათვის მკვეთრად შემცირებულ შემოსავალს ნიშნავს.

ტურისტული სექტორისთვის გათვალისწინებული დახმარების პროგრამის ძირითად კომპონენტს საგადასახადო შეღავათების დაწესება და საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება წარმოადგენდა, სრული ბიუჯეტი 200 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომელიც არ ითვალისწინებს კოვიდ-სასტუმროებისათვის დამატებით გამოყოფილ რესურსს.

ტურისტული სექტორი 2020 წელს სრულად გათავისუფლდა ქონების და საშემოსავლო გადასახადისაგან. აღნიშნული, მთავრობის დაანგარიშებით დაახლოებით 45 მლნ. ლარის და 90 მლნ. ლარის ხარჯს შეუმსუბუქებს სექტორის მონაწილეებს, შესაბამისად.

სასტუმროების სესხების სუბსიდირებისთვის (3,000 სასტუმრო) 60 მლნ. ლარის რესურსი გამოიყო, ხოლო ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდასაჭერად 5 მლნ. ლარის რესურსი. დამატებით, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მეშვეობით საოჯახო სასტუმროებისათვის (907 სასტუმრო) 11 მლნ. ლარის რესურსი დაიხარჯა სესხების სუბსიდირებისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

გრაფიკი 13: ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის გეგმა (მლნ. ლარი)



წყარო:: საქართველოს მთავრობის ანგარიში, IDFI

სექტემბრის მდგომარეობით, კოვიდ-19-ის გავრცელების რისკების შემცირებისა და თავიდან აცილების რიგი ღონისძიებებისა და საკარანტინო ზონების მოწყობისათვის ჯამში დაიხარჯა 105 მლნ ლარზე მეტი. ამავე პერიოდში, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სავალდებულო კარანტინის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის, 84,000 მოქალაქისთვის 64 მლნ. ლარი დახარჯა.

საერთო ჯამში, საქართველოს ანტიკრიზისული გეგმა დროული იყო, თუმცა ზოგიერთმა პროგრამებმა ბიუჯეტს გადააჭარბეს ან ვერ მოხერხდება ბიუჯეტის ბოლომდე ათვისება. გარკვეულ შემთხვევებში საჭირო გახდა გამოცხადებული პროგრამების გახანგრძლივება გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის გამო. აგვისტოს კვლევის[5] მიხედვით, სადაც გამოკითხული იყო 2,045 მოქალაქე, გამოკითხულთა 29% ფიქრობს, რომ უმუშევრობის კომპენსაცია ყველაზე მეტად დაეხმარა მათ ოჯახს, 26% კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რეიტინგი იპოთეკურ სესხებზე სუბსიდირების პროგრამას აქვს, რომელსაც გამოკითხულთა 2% გამოყოფს. ასევე, გამოკითხულთა 10% მიიჩნევს, რომ მთავრობის დახმარება არ სჭირდება.

[5] NDI

ანტიკრიზისული ბიუჯეტი 2021

27 ნოემბერს, მთავრობამ გამოაცხადა 2021 წლის განახლებული ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მოიცავს 1.16 მლრდ. ლარის დახმარებას მოსახლეობაზე და ბიზნესზე, თითქმის თანაბარი მოცულობით, 545 მლნ. ლარი და 515 მლნ. ლარი, შესაბამისად.

მოსახლეობის დახმარებაზე განკუთვნილი პროგრამები:

- კომუნალური ხარჯების სუბსიდირება გრძელდება (270 მლნ. ლარი). ერთი მლნ. ოჯახისათვის 4 თვით (ნოე-თებ) 270 მლნ. ლარის კომუნალური ხარჯების სუბსიდირება;
- 150 მლნ. ლარი ფორმალურ სექტორში დასაქმებულ პირებზე. აღნიშნული მოიცავს 1,200 ლარიანი დახმარებას უმუშევრად დარჩენილი პირებისათვის. პროგრამა განხორციელდება 2021 წლის იანვრიდან 6 თვის განმავლობაში და 200 ლარიანი დახმარება მოსალოდნელია მიიღოს 125,000-მა ბენეფიციარმა;
- ე.წ. ლოქდაუნის პირობებში დაზარალებულ დასაქმებულებს და ინდ მეწარმეებს ერთჯერადად გადაეცემათ 300 ლარიანი დახმარება. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 100,000 შეადგენს და პროგრამის ბიუჯეტი 30 მლნ. ლარით განისაზღვრა. დამატებით, მთავრობის განმარტებით მათ ეძლევათ საშუალება გადაავადონ სასესხო ვალდებულება.
- თვეში 100 ლარი გადაეცემა 72,000 სოციალურად დაუცველ ოჯახს. პროგრამა გაგრძელდება 6 თვის განმავლობაში და ჯამში გამოყოფილი ბიუჯეტი 55 მლნ. ლარს შეადგენს;
- 600 ლარიანი დახმარება - 0-დან 100 ათას ქულამდე მყოფი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლამდე ბავშვი, 6 თვის განმავლობაში მიიღებენ თვეში 100 ლარს (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) - 24 ათასი ოჯახი. ბიუჯეტი - 15 მლნ ლარი;
- 18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის გაიცემა 600 ლარიანი დახმარება - თვეში 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციართა რაოდენობა - 43 ათასი პირი. ბიუჯეტი - 27 მლნ ლარი;

ბიზნესის დახმარების პაკეტი:

- საშემოსავლო გადასახადის შეღავათზე 260 მლნ. ლარი არის გათვალისწინებული და მოსალოდნელია 33,000 კომპანია და 425,000 დასაქმებული მოიცვას. პროგრამის მიხედვით, 1,500 ლარამდე ხელფასის მქონე პირები 750 ლარამდე თანხის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდებიან 2021 წლის დეკემბერი-მაისის პერიოდში;

[6]წყარო: Stopcov.ge

- ტურიზმის სექტორი 2021 წელს თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან, რაც ბიუჯეტს 45 მლნ. ლარი უჯდება. ასევე, განხორციელდება 2020 წლის 4 თვის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამოწერა. აღნიშნული დამატებით 20 მლნ. ლარის ხარჯის ექვივალენტია. სასტუმროების და რესტორნების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდება და 3,700-მდე ბენეფიციარს შეეხება;
- ამოქმედდება 40 მლნ. ლარის მიკრო გრანტების პროგრამა;
- საკრედიტო-საგარანტიო ფონდი 100 მლნ. ლარით დაეხმარება კერძო სექტორს სესხების რესტრუქტურიზაციაში და ახალი სესხების მოზიდვაში;
- კომპანიებს, რომლებსაც შეეზღუდათ დეკ-იან თვეში საქმიანობა საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ.

2021 წლის განახლებულ ანტიკრიზისულ გეგმაში ძირითადად წარმოდგენილია წინამორბედი ანტიკირიზისული გეგმის (2020 წლის) პროგრამები დაკორექტირებული ბიუჯეტით. 100 მლნ. ლარით გაიზარდა კომუნალური სუბსიდირების ბიუჯეტი 270 მლნ. ლარამდე. მცირედით გაიზარდა (+5 მლნ. ლარი) სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი და 70 მლნ. ლარი შეადგინა. +2 მლნ. ლარით გაიზარდა 18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირების დახმარების ბიუჯეტი და 27 მლნ. ლარი შეადგინა.
მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. „ლოქდაუნის“ პირობებში დაზარალებულ დასაქმებულებსა და ინდ მეწარმეებს სახელმწიფო ერთჯერადად 300 ლარით დაეხმარება. თუმცა დაზარალებულთა რაოდენობა 100 ათასით განისაზღვრა და არსებობს მოლოდინი, რომ რეალური ციფრები უფრო მაღალია. შესაბამისად, მოსალოდნელია რომ პროგრამა წინასწარგანსაზღვრულ ბიუჯეტს გადააჭარბებს.

ანტიკრიზისული გეგმის გამოწვევები

ანტიკრიზისულმა გეგმამ მოსახლეობას და ბიზნესს შეუმსუბუქა პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები. თუმცა, გარკვეული დახმარების პროგრამები მცირე მოცულობის იყო წარმოდგენილი და შესაძლებელი იყო აღნიშნული დახმარებების მოცულობის და მიზნობრივი სეგმენტის ზრდა. იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტის ათვისება გარკვეული პროგრამების შემთხვევაში ვერ მოხერხდა.

ასევე, ანტიკრიზისული გეგმის თავდაპირველ ვარიანტში შეინიშნება უზუსტობები და გეგმის განხორციელების პროცესში შეტანილი ცვლილებების ფონზეც, პროგრამებმა გადააჭარბეს ბიუჯეტს.

- **თვითდასაქმებულებზე გამოყოფილი ბიუჯეტი არასაკმარისია და წინასწარ განსაზღვრულმა კრიტერიუმებმა შეფერხება გამოიწვია.**

პროგრამამ ჯამური თვითდასაქმებულების 29% მოიცვა და შემოსავლის დადასტურების გამო შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე ვერ მოხდა პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ათვისება.

- **18 წლამდე მოზარდების დახმარება უფრო სპეციფიურ მიდგომას მოითხოვს.**
  გამოყოფილი დახმარები იყო ერთნაირი მოცულობით როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ასევე მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ნაწილისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს რატომ იყო თავდაპირველად განსაზღვრული 800,000 ბავშვის დახმარება.

- **200-ლარიანი ყოველთვიური დახმარება დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური არასაკმარისია და დახმარების მოცულობის გაზრდა შესაძლებელი იყო.**
  აღნიშნული დახმარება მცირედით აჭარბებს ისედაც დაბალ საარსებო მინიმუმს, რომელიც 2020 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში საშუალოდ 192 ლარია. იმ ფონზე, როდესაც გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა, შესაძლებელი იყო გამოყოფილი თანხა გაზრდილიყო. ასევე, გაუგებარია დიფერენციაციის კრიტერიუმები თვითდასაქმებულებისგან, რომლებისთვისაც დახმარება ერთჯერადად 300 ლარს შეადგენს.

- **კომუნალური დახმარების პროგრამა არასამართლიანი პრინციპით წარიმართა.**
  სასურველი იყო ამ პროგრამით ესარგებლათ სოციალურად დაუცველებს და იმ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას, რომელიც პანდემიამ ყველაზე მეტად დააზარალა. კომუნალური ვაუჩერები დაფუძნებულია მოხმარების მოცულობაზე და ხშირ შემთხვევებში შეიძლება არ პასუხობდეს დახმარების მიზნობრიობას. ვაუჩერებზე უარის თქმა კი მხოლოდ საკუთარი სურვილით შეუძლია საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებს.

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის და შშმ პირებისათვის დახმარების ზრდა შესაძლებელია.**
  სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შშმ პირების დახმარების პროგრამებზე დახარჯულმა თანხებმა გამოყოფილ ბიუჯეტს გადააჭარბა, რაც დახმარების უფრო მაღალ მოთხოვნაზე მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიამ გაზარდა სოციალურად დაუცველების რიცხვიც, მიზანშეწონილია ამ პროგრამებზე გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა. ასევე, სასურველია ბენეფიციარების წრე გაიზარდოს და უფრო მეტი შშმ პირი მოიცვას.

- **საშემოსავლო გადასახადის გაუქმება ხელფასის პირველ 750 ლარზე მნიშვნელოვანი შეღავათია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის.** აღნიშნული შეღავათი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისათვის და პოსტპანდემიურ პერიოდში პროგრამის გაგრძელება შეამცირებდა წნეხს როგორც დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე ასევე მცირე ბიზნესზე.

- **2021 წლის ანტიკრიზისულ გეგმაში გათვალისწინებულია საკრედიტო ვალდებულებების გადავადება, დეკ-იან პერიოდში საქმიანობა შეჩერებული პირებისათვის. თუმცა, უცნობია როგორ წარიმართება საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და აღნიშნული საკრედიტო ვალდებულებები მხოლოდ საბანკო სესხებს მოიცავს თუ მსო-ების ვალდებულებებსაც**

  მთავრობას არ აქვს განმარტებული, საპროცენტო ხარჯის საკითხი და სავარაუდოდ შემდგომ პერიოდებზე მსესხებლის გადასახდელებზე გადანაწილდება. ასევე, აღნიშნული გადავადების პოლიტიკა მხოლოდ საბანკო სესხებზე ვრცელდება თუ სხვა ტიპის ვალდებულებებსაც მოიცავს.